ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60.60213407**

თარიღი:**06/12/2021**

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების, 62-ე მუხლის მეორე ნაწილის, 86^1 -ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ხონის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და მისი შემადგენლობა განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).
3. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი